ავტობიოგრაფია

მე, ვიქტორ მეტრეველი, დავიბადე 1986 წლის 01 თებერვალს ქ. თბილისში. ოჯახთან ერთად ვცხოვრობ ქალაქ რუსთავში. 2003 წელს დავამთავრე ქ. რუსთავის მე-17 საშუალო სკოლა.

2003-2007 წლებში ვსწავლობდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით. ამავე ფაკულტეტის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2007-2009 წლებში ვსწავლობდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. ამავე ფაკულტეტის 2009 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებით, მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი სისხლის სამართლის სპეციალობით. მაგისტრატურაზე სწავლის პერიოდში გავიარე სამთვიანი სასწავლო პრაქტიკის კურსი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

2009-2010 წლებში გავიარე შვიდთვიანი სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

2009-2010 წლებში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და 2010 წლის 29 იანვარს ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2010 წელს მუშაობა დავიწყე თბილისის საქალაქო სასამართლოში და ამავე წლის 20 იანვრიდან 2011 წლის 15 მარტამდე ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიის (განყოფილების) სპეციალისტი სასამართლო საქმეთა გასაცნობად.

2011 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 04 ივლისამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატში სხდომის მდივნად, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

2014 წლის 04 ივლისიდან 2023 წლის 22 თებერვლამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის (საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის; სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის) სამდივნოში მეკავა მოსამართლის თანაშემწის (პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის) თანამდებობა. ამ პერიოდში, კერძოდ - 2022 წლის 01 ნოემბრიდან 2023 წლის 22 თებერვლამდე დროებით დაკისრებული მქონდა ამავე კოლეგიის სამდივნოს მთავარი

კონსულტანტის მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მწერალი თანაშემწე) ფუნქციები.

2023 წლის 22 თებერვლიდან 2023 წლის 03 ოქტომბრამდე მეკავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა. (მწერალი თანაშემწე).

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობის პერიოდში გავლილი მაქვს რამდენიმე ტრენინგი და სემინარი.

2023 წლის 24 სექტემბერს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

2023 წლის 03 ოქტომბრიდან 2023 წლის 26 ოქტომბრამდე ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

2023 წლის 26 ოქტომბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით ვსწავლობდი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსზე.

ვფლობ გერმანულ და რუსულ ენებს კარგად.

მყავს მეუღლე და შვილი.

ვიქტორ მეტრეველი

2024 წლის 11 ნოემბერი.